

HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor
New York, NY 10118
Phone: 212-290-4700
Fax: 212-736-1300
hrwnyc@hrw.org
Website: http://www.hrw.org



EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen
Executive Director
Rachel Denber
Deputy Director
Diederik Lohman
Moscow Office Director
Julia Hall
Senior Researcher
Alexander Anderson
Matilda Bogner
Julie Chadbourne
Bogdan Ivanisevic
Anna Neistat
Darian Pavli
Acacia Shields
Jonathan Sugden
Research Associates
Alexander Petrov
Deputy Director, Moscow Office
Liudmila Belova
Rachel Bien
Elizabeth Eagen
Giorgi Gogia
Maria Pulzetti
Associates

STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*
Alice H. Henkin, *Vice Chair*
Morton Abramowitz
Barbara Finberg
Frederica Friedmann
Felice Gaer
Michael Gellert
Paul Goble
Stanley Hoffman
Robert James
Kati Marton
Prema Mathai-Davis
Karl Meyer
Joel Motley
Herbert Okun
Jane Olson
Leon Sigal
Malcolm Smith
George Soros
Donald J. Sutherland
Ruti Teitel
Mark Walton
William D. Zabel
Warren Zimmerman

HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth
Executive Director
Michele Alexander
Development and Outreach Director
Carroll Bogert
Communications Director
Reed Brody
Advocacy Director
John T. Green
Operations Director
Barbara Guglielmo
Finance Director
Lotte Leicht
Brussels Office Director
Tom Malinowski
Washington Advocacy Director
Michael McClintock
Deputy Program Director
Maria Pignataro Nielsen
Human Resources Director
Dinah PoKempner
General Counsel
Malcolm Smart
Program Director
Wilder Taylor
Legal and Policy Director
Joanna Weschler
UN Representative
Jonathan Fanton
Chair

არაოფიციალური თარგმანი

29 აგვისტო, 2001 წ.

**მემორანდუმი ა.შ.შ.-ს მთავრობას საქართველოს
რესპუბლიკაში რელიგიის ნიადაგზე მიმდინარე კალაღობის
შესახებ**

შესავალი

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არამართმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნეები საქართველოში მოქალაქეთა დაჯგუფებების სულ მცირე ოთხმოცამდე დანაშაულებრივი თავდასხმის სამიზნედ იქცნენ. ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სერიოზულ მცდელობას სათანადოდ გამოეძია ეს ფაქტები, რომ აღარაფერი ეთქვათ ბოროტმოქმედთა სამართალში მიცემაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიცია თავად მონაწილეობდა დარბევათა მსვლელობაში. დაუსჯელობის სინდრომის ზრდასთან ერთად თავდასხმათა ფაქტები კიდევ უფრო გახშირდა. ბოროტმოქმედნი გზას უჭრიან სალოცავად მიმავალ ან ლოცვიდან მობრუნებულ მორწმუნეებს, არბევენ საკუთარ სახლებში გამართულ რელიგიურ შეკრებებსაც. თავდამსხმელები სცემენ მორწმუნეებს რომელთაც, რიგ შემთხვევებში, სერიოზულ ფიზიკურ დაზიანებებს აყენებენ, აპარტახებენ საკუთარ სახლებს, ანადგურებენ კერძო საკუთრებასა და წვავენ რელიგიურ ლიტერატურას. ეჭვგარეშეა, მოძღვრებმა მსხვერპლნი მათი მრწამსის გამო გაიხადეს სამიზნედ და ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა აიძულონ ეს უკანასკნელნი უარი თქვან არჩეულ აღმსარებლობაზე.

თავდასხმათა უმრავლესობა უმთავრესად მიემართება ე.წ. არატრადიციული რელიგიის მიმდევრებს – იეჰოვას მოწმეებს, ორმოცდაათიანელებს, ბაფთისტებსა და ევანგელისტებს. ფაქტებიდან ჩანს, რომ ამ დარბევათა უმრავლესობას ახორციელებდნენ, საქართველოს მართმადიდებლური ელესიისგან მოკვეთილი თბილისელი მღვდელი, ვასილი მკალავიშვილი¹ და

¹ ის აგრეთვე ცნობილია როგორც ბასილი მკალავიშვილი, ან მამა ბასილი.

მისი მიმდევარები. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ ძალადობას ადგილი აქვს იმ პირთა მხრიდანაც, რომელთაც აშკარა კავშირი არა აქვთ მკალავიშვილთან, მათ შორის არიან ნაციონალისტური ორგანიზაციების წევრები, სასულიერო პირები და უბრალოდ არა-ტრადიციულ რელიგიის მიმდევართა მეზობლები.

2001 წელს Human Rights Watch-მა რელიგიური დანაშაულის ოცდაორი მსხვერპლისგან აიღო ინტერვიუ საქართველოში. ხელისუფლების უმოქმედობა თავდასხმებთან მიმართებაში, რაც დოკუმენტირებულია წინამდებარე მემორანდუმში, არღვევს საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს. რწმენის თავისუფლების უფლება უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 18) და ევროპის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ (მუხლი 9). რწმენის თავისუფლების უფლება მოიცავს “რელიგიის ან რწმენის ქონის ან შეცვლის თავისუფლებას მარტო ან სხვებთან ერთად კავშირში და საჯაროდ ან კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით და დაცვით.”² უფრო მეტიც, “არავინ არ უნდა იქნეს შეზღუდული რელიგიის ან მრწამსის თავისუფალ არჩევაში.”³

როგორც ამ ორივე კონვენციის მონაწილე მხარეს, საქართველოს ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს რელიგიურ უმცირესობათა ძირითადი უფლებები, პასუხისმგებლობა მისცეს რელიგიურ დარბევებში მონაწილენი და მიიღოს ადმინისტრაციული თუ იურიდიული ზომები რელიგიურ დანაშაულებათა თანამზრახველ თანამდებობის პირთა მიმართ, აგრეთვე მათ მიმართ, რომლებიც სათანადოდ არ იყენებენ მინიჭებულ ძალაუფლებას – ბოლო მოუღონ შექმნილ სიტუაციას. ხელისუფლების უუნარობამ, განახორციელოს აღებული ვალდებულებები უეჭველია საფუძველი დაუდო ძალადობის მორიგ ფაქტებს. იმ რამდენიმე შემთხვევაში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ რეაგირება მოახდინა შექმნილ სიტუაციაზე, მიღებული ზომები იყო მიზეზური და ეფექტურებისათვის ძალიან დაგვიანებული.

რეკომენდაციები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

ა.შ.შ.-ს მთავრობამ საქართველოში რელიგიის ნიადაგზე მიმდინარე ძალადობათა შესახებ რეაგირება მოახდინა ძირითადად, საქართველოს მთავრობასთან ყველა დონეზე ორმხრივი ურთიერთობისას შემფოთების გამოხატვითა და, აგრეთვე, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლის ორგანიზაციის მანდატის ფარგლებში.⁴ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის ყოველწლიური “მოხსენება რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ: საქართველო”, სათანადოდ აღწერს ქვეყანაში მიმდინარე რელიგიურ ძალადობას, მაგრამ გვერდს უვლის საქართველოს მთავრობის უუნარობით – სათანადოდ იმოქმედოს შექმნილ სიტუაციაზე – გამოწვეულ დაუსჯელობის სინდრომის ატმოსფეროს. ა.შ.შ.-ს საელჩომ საქართველოში, გაერთიანებული სამეფოს საელჩოსთან ერთად, გააკეთა საჯარო განცხადება 2000 წლის სექტემბერში პოლიციისა და ბრბოს მიერ ჩადენილ ძალადობის ინციდენტებზე.⁵ ჩვენ მივესალმებით შემფოთებათა

² საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 18

³ იგივე.

⁴ ელექტრონული-საფოსტო მიმოწერა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, 23 ივლისი, 2001 წ.

⁵ 2000 წლის 15 სექტემბრის განცხადებაში კკითხულობთ: “ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოები მეტად შემფოთებულნი არიან საქართველოში რწმენის თავისუფლების უფლების დარღვევის ამ და სხვა სერიოზული ფაქტებით, აგვისტოს თვეში ბაფტისტური ეკლესიის წევრთა ხელყოფის ჩათვლით. საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებების ევრო

უშუალო ურთიერთობისას გამოხატვას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ აიძულოს საქართველოს მთავრობა მიიღოს კონკრეტული ზომები. საქართველოში დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად, ბუშის ადმინისტრაციამ უნდა მოუწოდოს მის ხელისუფლებას ჩაატაროს რელიგიით მოტივირებული ძალადობათა მიუკერძოებელი და სრული გამოძიება და სამართალში მისცეს მავანნი. მან უნდა მოსთხოვოს საქართველოს მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა საჯაროდ გამოაქვეყნოს კონკრეტულ საქმეში თითოეული გატარებული ღონისძიება მიმართული ძალადობის ფაქტების გამოძიებისა და დამნაშავეთა გამოვლენისკენ. აგრეთვე უნდა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას უკეთ გაავრცელოს მის მიერ გამოხატული შეშფოთებები რელიგიურ შეუმწყნარებლო-ბასთან დაკავშირებით.

რწმენის თავისუფლების საერთაშორისო აქტის (IRFA) მანდატით, ა.შ.შ-ს რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო კომისიამ უნდა განიხილოს საქართველო, როგორც პრიორიტეტული ქვეყანა და მოსთხოვოს ბუშის ადმინისტრაციას წარმოადგინოს სრული ანგარიში იმისა, თუ რა კონკრეტული ზომები იქნა მიღებული საქართველოში მიმდინარე რელიგიური ძალადობის მისამართით შეშფოთების გამოსახატავად. კომისიამ უნდა მონიშნავდეს საქართველო იმ მიზნით, რომ რეკომენდაცია გაუწიოს ბუშის ადმინისტრაციას რელიგიური ძალადობისათვის პასუხისმგებლობის გასაზრდელად და, აგრეთვე, უნდა მთელი თავი დაუთმოს საქართველოს მომავალი წლის მოხსენებაში.

ქრონიკა

ეროვნებით ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს, ითვლება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლად. აღმოსავლეთ საქართველომ ქრისტიანობა მიიღო ჩვენი წელთაღრიცხვით 337 წელს, მეორე სახელმწიფო სომხეთის შემდეგ. ბევრი ქართველი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობა არის ქართული ეროვნული თვითმყოფადობის ძირითადი ღირსება.⁶ 2001 წლის 30 მარტს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში, რათა კონსტიტუციური შეთანხმების (კონკორდატის) საფუძველზე დაემყარებინა ურთიერთობა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რითაც ეკლესიასა და მის მსახურთ პრივილეგირებული ადგილი მიანიჭა ქართულ საზოგადოებაში.⁷

ე. წ. “არატრადიციული რელიგიის მიმდევრები”, იეჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ბაფტისტები და პროტესტანტული მრწამსის სხვა წარმომადგენლები დიდი ხანია

კონვენცია უზრუნველყოფს პიროვნების უფლებას – თავისუფლად აირჩიოს სასურველი მრწამსი. ჩვენ მოუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიოს ეს შემთხვევები და გადამწყვეტი ზომები მიიღოს რწმენის თავისუფლების დასაცავად.”

⁶ მაგალითად, პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, სადაც საქართველოს ევრო-საბჭოში გაწევრიანება აღინიშნებოდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა – ილია ირ-ემ გააკეთა მოხსენება, სადაც საზგასმით აღნიშნავდა ეკლესიის როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. *საქართველოს პარლამენტის ახალი ამბები*, 1999 წლის აპრილი, იხ: www.parliament.ge/NEWSLETTER/april-99.htm

⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში, რომელიც შემდეგნაირად იკითხებოდა: “სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან”, შეტანილ იქნა ცვლილებები, რათა კონსტიტუციურმა შეთანხმებამ განსაზღვროს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობები. თუმცა თვით კონკორდატი ჯერ არ არის პარლამენტის მიერ მიღებული, ერთ-ერთი უკანასკნელი პროექტის მიხედვით, მართლმადიდებლურ ეკლესიას შემდეგი პრივილეგიები მიენიჭება: ეკლესიის მსახურის სამხედრო სამსახურისაგან კანონით განთავისუფლება, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველოების აღმართვა სამხედროებისა და პატიმრებისათვის და საშუალო სკოლებში მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების სწავლება. აგრეთვე განხილვის საგანია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მართლმადიდებლური ეკლესიების აშენების ნებართვის გაცემის ექსკლუზიური უფლების მინიჭება.

არსებობენ საქართველოში. იეჰოვას მოწმეები, მაგალითად, აცხადებენ, რომ 1953 წლიდან მოყოლებული არსებობენ საქართველოში, ბაფთისტური ეკლესიები კი მეცხრამეტე საუკუნიდან. მათი მიმდევართა ზუსტი რაოდენობა არაა ცნობილი, მაგრამ სავარაუდოდ, რამდენიმე ათი ათასს აღემატება. საქართველოს არ გააჩნია კანონი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებდა რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობას.

მათ, ვინც კრიტიკულად უდგებიან არატრადიციული მორწმუნეების საქართველოში არსებობას, არგუმენტად მოჰყავთ, რომ ისინი სარგებლობენ საქართველოში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირითა და პოლიტიკური არასტაბილურობით, რათა მორწმუნენი გადაიბირონ. მათთვის განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელია, თითქოსდა, ამ ეკლესიების მიერ აგრესიული პროზელიტიზმი. მათი განცხადებით, ასეთი მრწამსი ძირს უთხრის ქართულ თვითმყოფადობასა და საფრთხეს უქმნის ქართველ ერს, მიუთითებენ რა ზოგიერთი სარწმუნოების მიმდევართა მიერ ჯარში სამსახურზე უარის თქმაზე. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ არა-ტრადიციული აღმსარებლობის მიმდევრები “სახელს უტეხენ” ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიას. მართალია, ყველა მოქალაქე, ვინც ამ შეხედულებებს იზიარებდა, არ აპყვოლია ძალადობისკენ მოწოდებას, მოძალადენი ამ და კიდევ სხვა მრავალ მიზეზს ასახელებენ თავიანთი ძალადობრივი დარბევების გასამართლებლად.

მაგალითად, ბასილი მკალავიშვილმა ამას წინათ BBC-ის კორესპონდენტს განუცხადა: “საშინელებაა, საშინელება, რომ დღეს საქართველო ბნელ სატანურ გარეშე ძალებს ჰყავთ დაპყრობილი. ბევრს არ ესმის, რომ საქართველოს ხსნა მართმადიდებლობაშია, და რომ ეს სექტები, განსაკუთრებით იეჰოვას მოწმეები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მოსპობას ცდილობენ. ამიტომაც, რომ მე და ჩემმა მიმდევრებმა ომი გამოვუცხადეთ ამ სექტებს და ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ასე გავაგრძელოთ.”⁸ 2001 წლის მარტში მან განაცხადა: “ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სექტანტებმა თავიანთი სატანური ეკლესიები ააშენონ”. რადგან “ისინი ეწინააღმდეგებიან მართმადიდებლობას და შეურაცხყოფენ იესო ქრისტეს. ისინი ჰყიდიან მართმადიდებლობასა და ქართულ სულს.”⁹

არატრადიციული რელიგიების ოპონენტებს, რომლებიც უშუალოდ არ იღებდნენ მონაწილეობას მათ დარბევაში, რიგი მოსაზრებები აქვთ. 2000 წლის ივლისში თბილისში ჩატარებულ საინფორმაციო კონფერენციაზე გურამ შარაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრი საქართველოს ნაციონალისტური პარტიიდან “საქართველო უპირველეს ყოვლისა”, განაცხადა, რომ იეჰოვას მოწმეები ასე ათასობით დოლარს ხარჯავენ საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის დასაკნინებლად და, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, რომ, თითქოს, მათ ფარულ ფინანსურ დახმარებას უწევს ქალაქის ამერიკული ელექტრო-გამანაწილებელი კომპანია. გურამ შარაძემ სასამართლოში უჩივლა იეჰოვას მოწმეებს, რასაც შედეგად მოჰყვა მათი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმება.¹⁰

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა, პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოში სექტების მომრავლება დაასახელა მთავრობასა და საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას შორის თანამშროლობის გაღრმავების არგუმენტად. საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას დღემდე არ დაუგმია მიმდინარე დანაშაულებრივი ქმედებები. მარტვილში მომხდარ ივნისის თავდასხმასთან დაკავშირებით, რომელშიც ეკლესიის მსახურნიც მონაწილეობდნენ, 2001 წლის ივლისში, ილია მეორემ განაცხადა: “საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია მოქმედებს მართმადიდებლური

⁸ BBC World Service, “Focus on Faith”, 7 აგვისტო, 2001 წ., მოხსენება საქართველოს შესახებ: იეჰოვას მოწმეები.

⁹ კესტონ ნიუს სერვისი, 28 მარტი, 2001 წ.

¹⁰ კავკას პრესის ინფორმაცია, 28 ივლისი, 2000 წ.

ეკლესიისათვის მისაღები ნორმების ფარგლებში, რაც გახლავთ მშვიდობიანი თანაარსებობა.”¹¹

შეუფხვრამბლობიდან კალალობამდე: 1999-2000

არამართმადიდებელ ქრისტიანთა წინააღმდეგ ორგანიზებული დანაშაულებანი მოჰყვა 1998-1999 წლებში საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის მცდელობას, ლობირება გაეკეთებინა საქართველოს მთავრობაში ამ დაჯგუფებათა საქმიანობის შეზღუდვისათვის,¹² ასევე რამდენიმე ფართოდ გახმაურებული, რიგი დანაშაულებრივი, ქმედება ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავდა ასეთი სახის საქმიანობების აღკვეთას.

1999 წლის ოქტომბერის საპარლამენტო არჩევნებისათვის სამზადისი არატრადიციულ რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ ოფიციალური შეუმწყნარებლობის მოზღვაგების დასაწყისად შეიძლება ჩათვალოს და გახლავთ მოქალაქეთა ძალადობრივი ქმედებების საწყისი. 1999 წლის 4 მაისს, გურამ შარაძემ სარჩელი შეიტანა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში იელოვს მოწეთა რეგისტრაციის გასაუქმებლად,¹³ სადაც, თავდაპირველად, ამ ორგანიზაციის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის საფრთხე მოჰყავდა არგუმენტად. როდესაც სასამართლომ დაასკვნა, რომ იეპოვას მოწმეების ლიტერატურა საფრთხეს არ წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის, მან რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა საქართველოში რელიგიის კანონის არარსებობის გამო.¹⁴

2000 წლის თებერვალში სასამართლომ შარაძის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, მაგრამ 2000 წლის 27 ივნისს, საოლქო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს განჩინება და, შესაბამისად, იეპოვას მოწმეების რეგისტრაცია. 2001 წლის 22 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ იეპოვას მოწმეთა კავშირი არის რელიგიური ორგანიზაცია და, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსით, ის არ შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი.¹⁵ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რეგისტრაციის გაუქმება არ ნიშნავდა ორგანიზაციის საქმიანობის აკრძალვას და ამით “არ შეზღუდულა მათი რწმენის შეცვლის თავისუფლება არც მარტო, არც სხვებთან ერთად კავშირში და არც საჯაროდ ან კერძოდ” და “არც მათი

¹¹ იუნიტიდ პრეს ინტერნეშენალი, 20 ივლისი, 2001 წ.

¹² ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროს 2000 წლის სახელმწიფო მოხსენების – “ადამიანის უფლებების პრაქტიკა საქართველოში” – თანახმად, “ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მთავრობასა და პარლამენტში ლობირებდა ისეთი კანონებისათვის, რომელიც მას მიანიჭებდა განსაკუთრებულ სტატუსს და შეზღუდავდა ‘არატრადიციული’ რელიგიების მისიონერების საქმიანობას. პარლამენტის მიერ უარყოფილ იქნა რამდენიმე კანონპროექტი, ზოგიერთი მათგანი რუსეთის რელიგიის შესახებ კანონის შესაბამისად იყო მოდელირებული.” მოხსენებაში ასევე აღწერილი იეპოვას მოწმეთა წარმომადგენლის დაპატიმრება და შემდგომი განთავისუფლება აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს რუსეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც პრივილეგიებს ანიჭებს რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას და მკვეთრად ზღუდავს ბევრი “არატრადიციული” რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობებს.

¹³ 1998 წლის აპრილში ისანი სამგორის რაიონულმა სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით, რეგისტრაციაში გაატარა იეპოვას მოწმეთა საზოგადოება, როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია.

¹⁴ 1999 წელს შარაძემ იგივე წარმატებით შეძლო შეეჩერებინა ქართული ანტიკური და შუასაუკუნეების კულტურის ნიმუშების გამოფენის გამგზავრება შეერთებულ შტატებში. ის ირწმუნებდა, რომ გამოფენის ნიმუშებს გაყიდვინებ, რათა დაეფარათ საქართველოს საგარეო ვალები და მოხდებოდა მათი ყალბი ასლებით ჩანაცვლება. დებატები, გამოფენის მოგზაურობის შესაჩერების ირგვლივ, იქცა დიდ პოლიტიკურ საკითხად წინასარჩევნო კამპანიის დროს.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, 22 თებერვალი, 2001 წ., ხელს აწერენ მოსამართლეები მ. წიქვაძე (თავჯდომარე), ლ. გოჩელაშვილი და რ. ნადირიანი.

თავისუფლება შეზღუდულა რელიგიის ან რწმენის თავისუფლად გამოხატვების ან რელიგიის სწავლების, რიტუალების შესრულების დაცვის თვალსაზრისით.”

გამოთქმულ იქნა აზრი იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი სარჩელი და ამით განპირობებული ძალადობრივი ფაქტები ამომრჩეველთა ხმების მოსაგებად იყო განსაზღვრული, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო დანაპირების შესრულება ფართოდ გავრცელებული კორუფციის აღმოფხვრასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მას შედეგ რაც სარჩელი იქნა შეტანილი, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაარბიეს რელიგიური შეკრებები და გაანადგურეს მათი ლიტერატურა. მაგალითად, 1999 წლის 29 მაისს პოლიციამ თბილისის გლდანის რაიონში, ძალის გამოყენებით, მუქართა და რამდენიმე მონაწილის ცემით დაშალა ევანგელისტთა შეკრება.¹⁶ ივლისსა და აგვისტოში, საქართველოს საბაჟო პოლიციამ დააკავა ექვსი ტონა იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ლიტერატურა, იმ მიზეზით, რომ ორგანიზაციის რეგისტრაცია გაუქმებული იყო. მასალები გაათავისუფლეს დეკემბერში, მას შემდეგ, რაც იეჰოვას მოწმეებმა სარჩელი შეიტანეს საბაჟო სამსახურის წინააღმდეგ.

ბრბოს მიერ პირველ დიდ დარბევას ადგილი ჰქონდა 1999 წლის 17 ოქტომბერს თბილისის გლდანის რაიონში. მას ხელმძღვანელობდა ბასილი მკალავიშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მოკვეთილი მღვდელი, რომელიც ე.წ. გლდანის მართლმადიდებლურ ეპარქიას უდგას სათავეში.¹⁷ დარბევის შედეგად დაზიანება მიიღო სულ მცირე თექვსმეტმა ადამიანმა, მათ შორის ზოგმა სავსებით სერიოზული.¹⁸ დაუჯერებელია, რომ ხელისუფლებამ დააკავა ორი დაზარალებული, რომელთაც ხულიგნობის მუხლით გამოუტანეს განაჩენი, მაშინ როცა მოძალადენი საკუთრების განადგურების ბრალდებისგან გაათავისუფლეს.¹⁹

სასამართლო პროცესზე მკალავიშვილის მომხრეებმა შეურაცხოვა მიაყენეს იქ დამსწრე ადამიანის უფლებათა დამცველებს, ჟურნალისტს და პროცესზე მყოფ იეჰოვას მოწმეებს. დაზარალებულთა შორის იყვნენ გიგა ბოკერია და კოტე ვარძელაშვილი, თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომლები. ერთი დღით ადრე, 16 აგვისტოს, როგორც გვაცნობეს, რადიო თავისუფლების/რადიო თავისუფალი ევროპის კორესპოდენტს სოზარ სუბელიანს შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს, სასამართლო სხდომის გაშუქების პროცესში. კანადელმა, ადამიანის უფლებათა დამცველმა ადვოკატმა – ჯონ ბერნსმა, რომელიც პროცესის მონიტორინგს აკეთებდა, როგორც იეჰოვას მოწმეთა წარმომადგენელი, წერილობით განაცხადა, რომ ოთახში შემოვარდნილმა მკალავიშვილის მომხრეებმა იგი დააგდეს იატაკზე და სცემეს დიდი ხის ჯვარით. მომდევნო თვეების განმავლობაში მკალავიშვილის მომხრეები ხვდებოდნენ და სცემდნენ იეჰოვას მოწმეებს, თავიდან ძირითადად, გლდანში, შემგომში, ემთელს თბილისში.

¹⁶ იხ. 2001 წლის Human Rights Watch-ის *მსოფლიო მოხსენება: საქართველო* (ნიუ იორკი: Human Rights Watch-ი, 2000); აგრეთვე იხილეთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის მოხსენება საქართველოს შესახებ. ევანგელისტებმა წარუმატებლად წამოიწიეს სასამართლო პროცესი გლდანის პოლიციის წინააღმდეგ, თავისუფალი შეკრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. 1999 წლის აგვისტოში გლდანის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება და დაასკვნა, რომ პოლიცია მოქმედებდა კანონის ფარგლებში, ვინაიდან, თითქოსდა, შეკრებილნი ხმაურობდნენ და არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. Human Rights Watch-ი ესწრებოდა ამ სასამართლო პროცესს, სადაც მკალავიშვილის მომხრეები გამოცხადდნენ პოლიციის მხარდასაჭერად.

¹⁷ მკალავიშვილი იყო გლდანში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დამაარსებელი. ის 1995 წელს იქნა მოკვეთილი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეკლესიის ეკუმენისტურ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, ის კვლავ ადავლენს წირვას გლდანში.

¹⁸ Human Rights Watch-მა ინტერვიუ ჩამოართვა ამ ძალადობის რამდენიმე მსხვერპლს. ერთ-ერთმა დაზარალებულმა, პატი თაბაგარმა, ინტერვიუში განაცხადა, რომ მან თავდასხმის შედეგად მიიღო იმდენად მძიმე დაზიანებები, რომ მთელი თვის განმავლობაში მოუწია მკურნალობა და საბუდამოდ დაუზიანდა მარცხენა თვალი. იხილეთ Human Rights Watch-ის 2000 წლის 6 სექტემბრის წერილი ელუარდ შევარდნაძისადმი.

¹⁹ იეჰოვას მოწმეებმა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ამ საქმესთან დაკავშირებით.

ბასილი მკალავიშვილისა და მისი მომხრეთა სულ ცოტა კიდევ ორი თვდასხმა მოხდა 1999 წელს. ძალადობამ საგრძნობლად იმატა 2000 წელს: იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაცია აცხადებს, რომ 2000 წელს ოცდათვრამეტ ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. დარბევათა უმრავლესობას, სავარაუდოდ, მკალავიშვილის მომხრეები ახორციელებდნენ.

იყო შემთხვევები, როცა პოლიცია თავად იღებდა მონაწილეობას არა-ტრადიციული რელიგიის მიმდევართა დარბევაში. 2000 წლის სექტემბერში პოლიცია ორჯერ შეეცადა არ დაეშვა იეჰოვას მოწმეთა კონგრესი და გულზეხელდაკრევით უყურებდა ორგანიზებული ჯქუფების მიერ თავშეყრილთა დარბევას; უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანი თავად ჩაერთო თავდასხმაში. 8 სექტემბერს პოლიციამ არ გაატარა ზუგდიდის კონგრესზე მიმავალი ავტობუსები და ძალის გამოყენებით დაშალა უკვე შეკრებილი იეჰოვას მოწმეები. ა.შ.შ.-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარეობდა ზუგდიდის ინციდენტის გამოძიება, თუმცა, შედეგები არა ცნობილი.²⁰

16 სექტემბერს პოლიციამ უკან გააბრუნა მარნეულში მიმავალი იეჰოვას მოწმეთა 19 ავტობუსი. მათ ვერ შეძლეს შეეჩერებინათ მოძალადეთა ბრბო, რომელიც თავს დაესხა კონგრესის მონაწილეებს, ისინი ჩამოათრიეს ავტობუსებიდან და სცემეს; ზოგიერთი დაზარალებულის განცხადებით, პოლიცია თავად მონაწილეობდა ცემაში. ბრბომ მიწასთან გაასწორა შეკრების ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბასილი მკალავიშვილის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რელიგიური მსახურებისათვის ხელის შეშლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მუხლებით (იხილეთ ქვემოთ), მას და მის თანამზრახველებს ნაკლებად ეშინიათ სამართალდამცავი ირგანოების, რომლებიც აშკარად თვალს ხუჭავენ ძალადობის ფაქტებზე და ჩვეულებისამებრ არ სურთ არატრადიციული რელიგიის მიმდევართა დაცვა.

რიგ შემთხვევებში, მკალავიშვილი საჯაროდ აცხადებდა წინასწარ დაგეგმილი თავდასხმების შესახებ. 2000 წლის სექტემბერში, სატელევიზიო კომპანია რუსავი 2-ის პოპულარულ, ჟურნალისტური გამოძიების პროგრამა “60 წუთის” ეთერში, მან დაიტრახა, რომ წინასწარ აფრთხილებს სამართალდამცავებს დაგეგმილი თავდასხმების შესახებ. 2001 წლის მაისში, მას შემდეგ რაც მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მკალავიშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ იგი პირადად აღარ ჩაერეოდა არატრადიციულ რელიგიის მიმდევართა დარბევაში, მაგრამ ამას მისი მითითებით, მისივე თანამზახველნი გააკეთებდნენ.²¹ 24 ივლისს, ტელეკომპანია კავკასიის პირდაპირ ეთერში, მკალავიშვილმა კურთხევა მისცა ხალხს – გააჩერონ იეჰოვას მოწმეები ქუჩებში ან ნებისმიერ შემხვედრ ადგილას, ჩამოართვან ლიტერატურა და დაწვან მათ წინაშე, საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენების უფლებაც დართო.²²

2001 წლის აგვისტოში BBC-იმ გადასცა მკალავიშვილის ტრახახი იმის თაობაზე, თუ როგორ უჭერენ მის საქმიანობას მხარს სამართალდამცავები. მან განაცხადა: “მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს უშიშროების სამსახურსა და პოლიციაში არიან ადამიანები, რომელთაც სურთ ჩემი დახმარება; მათ ესმით, რა საშიშიცაა ამ სექტების არსებობა საქართველოში.”²³

²⁰ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, 2000 წლის სახელმწიფო მოხსენება: “ადამიანის უფლებების პრაქტიკა საქართველოში”, თებერვალი, 2001 წ.

²¹ საქართველოს ტელევიზიით გაკეთებული განცხადება, 11 მაისი, 2001 წ.

²² ტელეკომპანია კავკასიის სატელევიზიო პროგრამა, 24 ივლისი, 2001 წ.

²³ *Focus on Faith*, BBC World Service, 7 აგვისტო, 2001 წ.

Human Rights Watch-ს გააჩნია 2001 წლის მარტში ნაპოვნი, მკალავიშვილის თანამზრახველთაგან მომდინარე ფურცელი, რომელიც აფრთხილებს იეჰოვას მოწმეებს არ შეიკრიბონ. ასეთი ფურცლები ვრცელდება იმ ადგილებში, სადაც იეჰოვას მოწმეები შეკრებას გეგმავენ. ფურცელზე კვითხულობთ:

მკაცრად გაფრთხილებთ სულიწმიდის მგმობელ სექტებს: გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის დროებითი მმართველი და წინამძღვარი პროტოპრესვიტელი მამა ბასილი (მკალავიშვილი) თავის მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად მკაცრად აფრთხილებს სხვადასხვა სექტას: იელოველებს, ევანგელისტებს, ბაპტისტებს, ადვენტისტებს, კრიშნაიდებს რომ შეწყვიტონ ანტიმართლმადიდებლური ქმედებები საქართველოში, აკრძალონ სატანური მასობრივი შეკრებები მართლმადიდებელი ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ. ქართველ მართლმადიდებელ ერს კი მოუწოდებთ, არ დაუშვან სექტანტური თავყრილობები და აქტიურად დაიცვან მამა-პაპათა ქრისტიანული სჯული.

გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის პრესსამსახური.

უკანასკნელად გაფრთხილებთ აქ აღარ შეიკრიბოთ!

2001 წელს რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ინციდენტების მატება

თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლების უუნარობას სათანადო რეაგირება მოახდინოს ძალადობის ფაქტებზე და პოლიციის ხშირ უმოქმედებას, გასაკვირი არ იქნება 2001 წელს დარბევის შემთხვევათა სწრაფი მატება. ძალადობრივი თავდასხმების განსაკუთრებული გახშირება შეინიშნება 2001 წლის თებერვლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც ძალაში დარჩა იეჰოვას მოწმეთა რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილება. იეჰოვას მოწმეთა ცნობით, მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ორმოცამდე თავდასხმას ჰქონდა ადგილი, რაც 2000 წელში მომხდარ ინციდენტებს უკვე აღემატება. აღსანიშნავია, რომ მათ უმრავლესობას 22 თებერვლის შემდეგ მოხდა. თუკი 1999-სა და 2000 წლის დასაწყისში დარბევები ძირითადად კონცენტრირებული იყო თბილისში და მის გლდანის რაიონში, მოგვიანებით მან მოიცვა საქართველოს სხვა ქალაქები და რაიონები. პოლიცია თავად მონაწილეობდა ზოგიერთ ინციდენტში.

Human Rights Watch-მა ინტერვიუ ჩამოართვა რვა სხვადასხვა დარბევის 22 მსხვერპლს. ამ თავდასხმათა უმრავლესობაში მკალავიშვილი და მისი მომხრეები ფიგურირებენ, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სულ უფრო გახშირდა ნაციონალისტური ორგანიზაციების, სამღვდელოებისა და, უბრალოდ, დაზარალებულთა მეზობლების მხრიდან ძალადობაში მონაწილეობის ფაქტები.

Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტირებულ შვიდ შემთხვევაში იეჰოვას მოწმეები ცდილობდნენ კერძო სახლში ბიბლიის შესასწავლად შეკრებილიყვნენ; ხოლო ერთი ინციდენტისას შედარებით პატარა კონგრესის ჩატარებასაც ეცადნენ. ერთი დარბევისას თავდასხმელები ლურსმნიანი ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. მეორე შემთხვევაში – პოლიციამ გზა გაუხსნა ბრბოს შეკრებილთა დარბევისაკენ. პოლიციას არც ერთ შემთხვევაში არ უცდია დანაშაულის შეჩერება ან თავიდან აცილება, არც გულმოდგინება გამოუჩენია მის გამოსადიებლად.

თავდასხმები თბილისში

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ხუთ დღეში, 27 თებერვალს, დილის ათ საათზე, დაახლოებით 300 იეპოვას მოწმე შეიკრიბა თბილისის ისნის რაიონში მდებარე კერძო სახლის ეზოში. დაახლოებით ვდლის სამ საათზე თხუთმეტიდან ოცამდე ადამიანთა ჯგუფი, ბასილი მკალავიშვილის ემეთაურობით, შეიჭრა სახლის ეზოში და დაიწყო იქ მყოფთა ფიზიკური შეურაცხყოფა. შეკრების მონაწილე, იეპოვას მოწმის, რუდოლოფ მიკირტუმოვის თქმით, ოციდან ოცდაათამდე პოლიციელი იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას, მაგრამ შეტყვის შეჩერების ნაცვლად, მათ ძალით გააღებინეს ეზოს კარები და შემოუშვეს მოძალადენი.

მიკირტუმოვმა, უმუშევარმა მკერავმა, Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიციამ მას უთხრა თითქოს “ისინი მათ [იეპოვას მოწმეების] რაიმე შესაძლო ინციდენტისგან დასაცავად იყვნენ მისულნი. შუადღისას ტელეკომპანია რუსთავი 2-მა ახალ ამბებში გააშუქა შეკრება, ხოლო ცოტა მოგვიანებით, პოლიციაც მოვიდა.”²⁴

დღის 3 საათზე შეკრებილ იეპოვას მოწმეებს ტელეფონით აცნობეს იმის თაობაზე, რომ მკალავიშვილი და მისი მომხრეები კრებისკენ მიემართებოდნენ. მიკირტუმოვმა დაუყონებლივ შეატყობინა იქვე მყოფ პოლიციელებს და დახმარება სთხოვა, რაზეც, გადმოცემით, ერთ-ერთი თანამშრომლისგან ასეთი პასუხი მიიღო: “თქვენს მაგივრად აბა მე ხომ არ გაველახინები?!” მაშინ მიკირტუმოვი ეზოში შევიდა, რათა მავრთულებით დაეკეტა ჭიშკარი. რამდენიმე წუთში მკალავიშვილი და მისი მომხრეები მოვიდნენ შეკრების ადგილას, მაგრამ გაუჭირდათ ჭიშკრის გაღება. მაშინ სამი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული, პირი გადაახტა ლობეს, ორმა პოლიციის თანამშრომლის პირადობის მოწმობა აჩვენა შეკრებილთ და მესამემაც თავი თანამშრომლად წარადგინა. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ძალით გააღებინა ჭიშკარი თითქოსდა სხვა თანამშრომლების შემოსაშვებად.

გარეთ მყოფი ბრბო შეიჭრა ეზოში და ხელკეტებით, დიდი ჯვრებითა და ბიბლიის წიგნებით დაიწყო შეკრებილთა ფიზიკური შეურაცხყოფა. 30 წუთის განმავლობაში სახლი გაპარტახებული დატოვეს. თვით მიკირტუმოვმა მიიღო სახის მრავლობითი დაზიანება და საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას.

მიკირტუმოვმა Human Rights Watch-ს განუცხადა, რომ პროკურატურის გამოძიებლებმა თავდასხმის დეტალების გამოკითხვის ნაცვლად მას უთხრეს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მას უჩიოდნენ კრებიდან გამომავალი ხმაურის გამო; მისი რწმენით, ეს შეთითხნილი ბრალდება იყო, რათა დაემინებინათ იგი და აეძულებინათ უარი ეთქვა პოლიციაში ჩვილზე. ხოლო რაც შეეხება ინფორმაციის მიღებას – პოლიციელების მიერ მოძალადეთათვის ჭიშკრის გაღების თაობაზე, პროკურატურაში განუცხადეს, რომ ეს მასალები საქმისთვის საჭირო არ იყო.

ერთ-ერთ ყველაზე საზარელ ინციდენტს ადგილი ჰქონდა თბილისში 2001 წლის 30 აპრილს, როდესაც სვანეთის უბანში ლურსმნიანი ხელკეტებით შეიარაღებულმა თავდასხმელებმა დაარბიეს სალოცავი შეკრება. თავდასხმელებმა დაამსხვრიეს ფანჯრები, ავეჯი, ელექტრო მოწყობილობები, ლურსმნიანი ჯოხებით სასტიკად სცემეს იქ შეკრებილთ და კოცონზე დაწვეს რელიგიური ლიტერატურა.

შედეგად, სამ დაზარალებულს სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. მათ შორის იყო თამაზ ნაჭყებია, რომელმაც მიიღო სხეულის მრავალი დაზიანება და მის

²⁴ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 7 მაისი, 2001 წ.

თავზე მიყენებულ ჭრილობას 5 ნაკერის დაღება დასჭირდა. Human Rights Watch-ის წარმომადგენელმა თავად იხილა ნაჭყებიას მარცხენა ხელზე, მარჯვენა მკლავზე, მარცხენა ფეხსა და მარჯვენა ნეკნების არეში, აგრეთვე მარცხენა ლოყაზე არსებული ღია ჭრილობები.²⁵

ნაჭყებია Human Rights Watch-ს მოახსენა თუ რა შეემთხვა მას: “დაახლოებით ათი კაცი მცემდა, იატაკზე ვეგლე და ვერ ვინძროდი.” მან ასევე აღნიშნა, რომ თავდამსხმელები ყვიროდნენ: “ურტყით ყველას, ეს პატარა გველები სატანის ნაშიერები არიან!”²⁶

თავდამსხმელთაგან ზოგიერთს ნიღაბი ეკეთა, რომლებიც მოგვიანებით ჩამოუვარდათ. ორმა თვითმხილველმა ამოიცნო მკალავიშვილის კარგად ცნობილი მომხრეები.²⁷

თვითმხილველი, ზვიად ძაძამიას, განცხადებით, როდესაც დარბევა დაიწყო, ერთ-ერთმა კრების მონაწილემ პოლიციას დაურეკა, სადაც თითქოსდა უპასუხეს: “მასე მოგიხდებათ, საერთოდ რას იკრიბებოდით?” ორივეს, ძაძამიასა და ნაჭყებიას, ნათქვამის თანახმად, პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ დარბევის მიმდინარეობის მომენტში, მაგრამ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უკან გაბრუნდნენ. დაახლოებით ნახევარ საათში მოვიდა პოლიციის მეორე მანქანა; იმ დროისათვის თავდამსხმელები უკვე იქ აღარ იმყოფებოდნენ და თანამშრომლებმა რამდენიმე დაზარალებულს ახსნა-განმარტებითი ბარათი ჩამოართვეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მომხდარის ფაქტთან დაკავშირებით არავინ არ ყოფილა დაკითხული ან დაპატიმრებული.

ძაძამიასა და ნაჭყებიას განცხადებით, ამ დარბევის მოწმე გახდა პარლამენტის წევრი საქართველოს აღორძინების პარტიიდან ჯემალ გამახარია, რომელმაც, სავარაუდოდ, ძაძამიას კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა მიმდინარე ძალადობაზე, ასე უპასუხა: “თქვენ ამას იმსახურებთ, უარესი ჯერ კიდევ მოგელით.”²⁸

20 მაისს, სავარაუდოდ მკალავიშვილის მომხრეთა ოცდაათ კაციანი ჯგუფი თავს დაესხა თბილისში, მუხიანის დასახლების საცხოვრებელ ბინაში, სალოცავად შეკრებილ სამოცამდე ადამიანს. თვითმხილველი ზაურ მალანიას თქმით, დაზარალებულთა შორის იყვნენ ფეხმძივე ქალი და ჩვიდმეტი წლის ბიჭი, რომელმაც ტვინის შერყევა მიიღო და საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა.²⁹

მეორე თვითმხილველმა, ბაკურ ბიუგლიშვილმა, Human Rights Watch-თან ინტერვიუში აღნიშნა, რომ მან პირადად დარეკა პოლიციაში და აცნობა ყაჩაღობის მიმდინარეობის შესახებ. პოლიცია რამდენიმე წუთში მივიდა დანაშაულის ადგილზე, რაც ძალზე უჩვეულოა საქართველოში, დაიჭირა ხუთი თავდამსხმელი, წაიყვანა განყოფილებაში, მაგრამ ნახევარ საათში გაანთავისუფლა ისინი და ცხრა თვითმხილველს ჩამოართვა ახსნა-განმარტებითი ბარათი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით არავინ არ დაკითხულა. მალანიამ Human Rights Watch-ს უთხრა, რომ ის პერიოდულად კითხულობს საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას, მაგრამ მისი ცოდნით, არავითარი სისხლის სამართლებრივი ბრალდება არ ყოფილა წაყენებული ამ თავდასხმასთან დაკავშირებით.³⁰

²⁵ Human Rights Watch-ს გააჩნია ნაჭყებიას ჭრილობების ამსახველი ფოტო სურათები.

²⁶ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 7 მაისი, 2001 წ.

²⁷ მკალავიშვილის მომხრეთა ძირითადი ნაწილი, რომელიც მრავალ დარბევაში მონაწილეობს, ხშირად ჩანს ტელევიზიის ეკრანებზე; აქედან გამომდინარე, მათი სახეები ადვილი ამოსაცნობია.

²⁸ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 7 მაისი, 2001 წ.

²⁹ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 18 ივნისი, 2001 წ.

³⁰ იგივე.

17 ივნისს თბილისის ერთ-ერთ უბანში, ორთაჭალაში, 60 კაციანი ექსტრემისტთა ჯგუფი თავს დაესხა 86 კაციან სალოცავ შეკრებას. თავდამსხმელებმა სცემეს კრების მონაწილენი, რომელთაგან ზოგს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, გამოიტანეს და ქუჩაში დაწვეს ავეჯი, პირადი ნივთები და რელიგიური ლიტერატურა. 26 წლის ეკონომისტი, გიორგი კიკნაველიძემ მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანება, განსაკუთრებით, მხრებისა და ფეხების არეში. მან Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ დარბევა კაგად დაგეგმილი და ორგანიზებული სჩანდა:

ყველა მათგანმა იცოდა რა უნდა ეკეთებინა; ზოგი ლიტერატურას ეძებდა, სხვები ხალხს სცემდნენ, ზოგიმაც ცოცხალი კორიდორი გააკეთა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ, ვინც თავის დაღწევას ცდილობდა.... დარბევა სულ ალბათ ათი თხუთმეტი წუთი თუ გრძელდებოდა... იკარუსის მარკის ავტობუსი და მეორე მიკრო ავტობუსი გარეთ ელოდებოდათ, რითაც ისინი (მომალადეები) მოგვიანებით გაიქცნენ.³¹

თვითმხილველმა, უმუშევარმა ვეტერინარმა, ნანა რობაქიძემ მოახერხა დარბევის გაქცევა. მისი ქმარი, რომელმაც რამდენიმე დაჟეჟილობა მიიღო ზურგის არეში, წავიდა ფონიჭალის პოლიციის განყოფილებაში და ორი პოლიციის თანამშრომლის თანხლებით დაბრუნდა შემთხვევის ადგილას. “თავდამსხმელები ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდნენ, წასასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ პოლიცია უმოქმედოდ იდგა. და მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ დაიწვეს გამაღიზიანებელი შეკითვების დასმა, თუ, რატომ ვიკრიბებოდით, რა გვინდოდა.”³² რობაქიძემ, რომელიც ოცდათერთმეტი წლისაა, Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიციას იგი საერთოდ არ დაუკითხავს ამ ინციდენტთან დაკავშირებით.

კიკნაველიძემ ხუთი თავდამსხმელი დაასახელა, ყველა მათგანი მკალავიშვილის ცნობილი მომხრეები, მაგრამ აღნიშნა, რომ თავად მკალავიშვილი იქ არ იმყოფებოდა. იმავე საღამოს ამ ინციდენტის შესახებ მან შეატყობინა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის განყოფილებას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიება ამ დარბევასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს.

თავდასხმები თბილისს გარეთ

მარტვილი (დასავლეთ საქართველო)

2001 წლის 8 ივნისს ორმა მღვდელმა და მისმა მრევლმა შეურაცხყოფა მიაყენა კრებაზე მიმავალ იეჰოვას მოწმეებს. კახა ვაშაკიძე, უმუშევარი ეკონომისტი, რომელიც მორწმუნეთა ჯგუფის ხელმძღვანელის როლს ასრულებს, ადრე მივიდა შეკრების ადგილზე. დაახლოებით ნამუაღლევს, ოთხი კრების მონაწილე ქალი მივიდა ვაშაკიძესთან იმის სათქმელად, რომ ორი ადგილობრივი მღვდელი (ვაშაკიძემ მათი სახელებიც დაასახელა) და მათი თანამზრახველები გზას უღობავდნენ კრებისკენ მომავალ იეჰოვას მოწმეებს, შეურაცხყოფდნენ და აიძულებდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.³³

სახლის დიასახლისმა, სადაც კრება უნდა ჩატარებულიყო, მაშინვე მიმართა ადგილობრივი პოლიციის უფროსს, რომელმაც, განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ შეკრების უფლება, ვინაიდან ისინი აკრძალულნი იყვნენ საქართველოში და აგრუმენტად თებერვლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ასახელებდა. მას შინ ოთხი პოლიციელი

³¹ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 4 ივლისი, 2001 წ.

³² Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 4 ივლისი, 2001 წ.

³³ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 4 ივლისი, 2001 წ.

გამოჰყვა, რათა ვაშაკიძეს დახმარებოდნენ უვნებლად დაეტოვებინა სახლი და, შესაბამისად, არ მიეცათ კრების ჩატარების უფლება. პოლიციამ კორიდორი გააკეთა და სახლის დატოვება სთხოვა ვაშაკიძეს. გასვლისას, ბლოკადის თანამონაწილე ერთ-ერთმა მღვდელმა მოსთხოვა ვაშაკიძეს აღარ ჩაეტარებინა შეკრებები იმ ქუჩაზე, ვინაიდან ის გზა ეკლესიისკენ მიდიოდა, რაც მას წმინდად ხდიდა; “მან თქვა, რომ თუკი კიდე ჩავატარებდით კრებას იმ ადგილზე, მაშინ იგი (მღვდელი) პასუხს არ აგებდა მოსალოდნელ შედეგებზე,” აღნიშნა ვაშაკიძემ Human Rights Watch-თან ინტერვიუში.

ერთი კვირის შემდეგ ვაშაკიძე დაბრუნდა პოლიციის განყოფილებაში კონსტიტუციითა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ასლით, რომელიც ცალსახად აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ რეგისტრაციის გაუქმება არ ნიშნავდა იეჰოვას მოწმეთათვის შეკრების უფლების აკრძალვას. საქმის ხელმძღვანელმა პოლიციის თანამშრომელმა ვაშაკიძეს განუცხადა, რომ წასულიყო და ეს საბუთები მღვდელთან გაერჩია. შემდგომ კვირაში ვაშაკიძე კვლავ დაბრუნდა პოლიციაში საქმის ვითარების გასარკვევად. ამჯერად, იგივე მღვდელი, პოლიციის განყოფილების უფროსის, თანდასწრებით დაემუქრა “ბასილის მეთოლების” გამოყენებით თუ ისინი (იეჰოვას მოწმეები) კვლავ შეიკრიბებოდნენ იმ მიდამოებში.

საჩხერა

მეორე შემთხვევას, სადაც ადგილობრივი სამღვდლოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ადგილი ჰქონდა 2001 წლის 6 მარტს საჩხერეში (თბილისიდან დაახლოებით 270 კილომეტრით მოშორებით), სადაც 150 კაციანი ბრბო თავს დაესხა იეჰოვას მოწმეებს.

სავლე გოცაძემ Human Rights Watch-ს უამბო, რომ 5 მარტს იგი ბ.-ს ოჯახისაკენ მიემართებოდა, როცა მან სახლის წინ დაინახა ხალხის ბრბო და ოთხი ანაფორიანი ადგილობრივი ეკლესიის მსახური.³⁴ სამღვდლო პირნი და რამდენიმე იქ შეკრებილთაგანი ავიდა ბ.-ს ბინაში, სადაც მათ გააფრთხილეს ოჯახი, რომ იქ აღარ ჩაეტარებინათ იეჰოვას მოწმეთა კრებები და განუცხადეს, თითქოსდა, საპატრიარქოსგან ჰქონდათ მიღებული ნებართვა დაერბიათ ყველა ასეთი შეკრება.

მეორე დღეს, 6 მარტს, ბრბო თავს დაესხა შეკრებას ბ.-ს ოჯახში, დაამსხვრია საყოფაცხოვრებო ნივთები და დაწვა რელიგიური ლიტერატურა. მოძალადენი ასევე შეიჭრნენ ბ.-ს სახლის მეორე შენობაში, რომელიც კრებათა ჩასატარებლად გამოიყენებოდა, გააპარტახეს იქაურობა და გაანადგურეს ლიტერატურა.

გოცაძემ განაცხადა:

დაახლოებით ასორმოცდაათი კაცი იქნებოდა, წინ ცხენზე ამხედრებული მღვდელი მოუძლოდათ... მათ დაიწყეს კარების შემომტყვევა... ერთი წუთით ხალხი შეჩერდა, მაგრამ შემდეგ მღვდელმა დაიყვირა, “რას აკეთებთ?! რატომ გაჩერდით?” მაშინ თავდამსხმელები უფრო გაგულისდნენ. მე ვთხოვე ხელი არ ეხლოთ დიასახლისისთვის... შემდეგ დამიჭირეს და ცემა დამიწყეს, ძალიან ბევრს ლაპარაკობო. ძირს დავეცი ისინი მცემდნენ და წიხლებს მირტყამდნენ.... დიასახლისიც არ დაინდეს.

³⁴ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 7 მაისი, 2001 წ. Human Rights Watch-ი უსაფრთხოების შეხედულებიდან გამომდინარე განგებ არ ასახელებს ოჯახის ნამდვილ სახელს.

Human Rights Watch-თან ინტერვიუში გოცაძემ განაცხადა, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა შეამოწმა მის სხეულზე დარბევისას მიღებული დაზიანებები. მიუხედავად იმისა, რომ საჩხერეს პოლიციის უფროსმა მწუხარება გამოთქვა გოცაძესა და ბ.-ისადმი მომხდარის გამო, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არანაირი გამოძიება არ მიმდინარეობს.

ბორჯომის რაიონი

2001 წლის 21 აპრილს, თბილისიდან 150 კილომეტრის მოშორებით, ბორჯომის რაიონის სოფელ დვირში, თხუთმეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი დახვდა კრებიდან წამოსულ იეჰოვას მოწმეებს. ძალადობის მოწმე იყო სოფლის გამგებელი, რომელმაც გააკიცხა იეჰოვას მოწმეები კრების ჩატარების გამო.

ბორის გოგოლაძემ Human Rights Watch-ს უთხრა, რომ კრების დაშლის შემდეგ ის შინისაკენ გზას დაადგა, როცა მოახლოებული მანქანები შენიშნა;³⁵ ვიღაცამ დაუძახა, როცა მიუახლოვდა, პირმა რომელიც მან ამოიცნო, წაართვა წიგნების ჩანთა, სახეში გაარტყა, ჩანთას შეხსნა გადასაკიდებელი და სხვა იეჰოვას მოწმეებსაც დაუწყო ცემა, რომლებიც იქვე, ახლოს, ავტობუსის გაჩერებაზე იდგნენ.³⁶ თვითმხილველთა განცხადებით, ჯგუფის სხვა წევრები სეირს უყურებდნენ და უშვერი სიტყვებით იხსენიებდნენ იეჰოვას მოწმეებს.

თავდამსხმელი კვლავ გოგოლაძეს მიუბრუნდა, ისევ დაარტყა და რელიგიური ლიტერატურა ჩამოართვა. “სოფლის გამგებელი მიყვიროდა, ‘რატომ იკრიბებით, ვერ ხედავთ რა მოგლით?’” ინციდენტი მაშინ დასრულდა, როცა ბორჯომის გამგებლის მოადგილემ მოძალადეს გაჩერება უბრძანა.

რუსთავი

2001 წლის 7 აპრილს დაახლოებით ოცკაციანი ჯგუფი, პაატა ბლუაშვილის ხელმძღვანელობით, ულტრა ორთოდოქსული ორგანიზაცია “ჯვარი”-ს წევრი, რომლის არსებობის მიზანია საქართველოში არატრადიციული კონფესიების გავრცელების თავიდან აცილება, შეიჭრა რუსთავში გამართულ იეჰოვას მოწმეთა კრებაზე, გააჩანაგა ბინა და სცემა იქ მყოფნი თუ დასახმარებლად მოსული მეზობლები. ბრბომ ასევე გაიტაცა და კოცონზე დაწვა რელიგიური ლიტერატურა.

დაახლოებით სამოცამდე ადამიანი შეიკრიბა რუსთავში კერძო საცხოვრებელ ბინაში; თვითმხილველი, არდოტელი კვირიას განცხადებით, კრების დაწყებიდან დაახლოებით ათ წუთში გამძვინვარებული ბრბო შეიჭრა ბინაში.³⁷ დარბევის შემდეგ კვირია, ხუთ სხვა კრების მონაწილესთან ერთად, რუსთავის პოლიციის პირველ განყოფილებაში წავიდა საჩივრელად, სადაც, მისი განცხადებით, აქეთ დასდეს ბრალი საკუთარ ბინაში შეკრებით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. დაზარალებულებს ახსნა-განმარტებითი ბარათები ჩამოართვე; ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არც ამ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

³⁵ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 6 ივლისი, 2001 წ.

³⁶ მეორე თვითმხილველმაც ამოიცნო მოძალადე (Human Rights Watch-ი განგებ არ ასახელებს პიროვნების სახელს და გვარს). Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი, 6 ივნისი, 2001 წ.

³⁷ Human Rights Watch-ის ინტერვიუ, თბილისი 7 მაისი, 2001 წ.

თავდასხმის მეორე შემთხვევას რუსთავეში ადგილი ქონდა ამა წლის 29 აპრილს, რომელიც თავად მეზობლების მიერ იქნა განხორციელებული. შეკრებილთ დაშლა დაიწყეს მას შემდეგ, რაც კარებზე ბრახუნი და მუქარა შემოესმათ. ილია ეთერიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ის და კრების სხვა მონაწილეები შეეცადნენ ფანჯრიდან გაქცეულიყვნენ, მაგრამ მეზობლებმა მაინც მოახერხეს მათი ფიზიკური შეურაცხყოფა. “ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებდნენ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში... მათ ყველას წაგვართვეს ჩანთები, წიგნები, პირადი ნივთები, იქვე ეზოში დაანთეს დიდი კოცონი და ყველაფერი დაწვეს.”³⁸

ეთერიშვილმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ მან მეორე დღეს აცნობა პოლიციას, სადაც მას ახსნა-განმარტებითი ბარათი დააწერინეს, მაგრამ ამას არანაირი გამოძიება არ მოჰყოლია.

საქართველოს ხელისუფლების რეაქცია

2001 წელს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმაღლეს დონეზე დაგმეს არა-ტრადიციულ რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები, მაგრამ გასული ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს ძალადობის შეჩერება, დამნაშავე სამართალდამცავებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დისციპლინირება და დაზარალებულთა რწმენის თავისუფლების უფლების დაცვა. 2001 წლის 22 მარტის პრეზიდენტის ბრძანებულება, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, მიზნად ისახავდა გატაცებების, ნარკოტიკების კონტრაბანდის, უცხოელებზე თავდასხმებისა და რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობათა აღმოსაფხვრელად ბრძოლის გაძლიერებას. სხვა მრავალ ღონისძიებებთან ერთად, ის ავალედა პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ბოლო მოეღოთ რელიგიური მოტივით ჩადენილი ძალადობისთვის და “შიღონ საგანგებო ზომები დამნაშავე პირების გამოვლენისა და დასჯის მიზნით.”³⁹ აღსანიშნავია, რომ ბრძანებულების პრეამბულა ეხებოდა კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანს.

პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ 2001 წლის 10 ივლისს უმასპინძლა შვიდი რელიგიური მიმდინარეობის წინამძღვართ, რათა ერთობლივი სტრატეგია დაესახათ რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულებების აღმოსაფხვრელად. ასეთი სახის ძალადობის მატება და ხალხის ექსტრემიზმისკენ მიდრეკილება მათი სიღარიბით იქნა ახსნილი.⁴⁰

იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დანაშაულებრივი ინციდენტების გამწვავების გამო უზენაესი სასამართლო იძულებული იყო დაეგმო მკალავიშვილის მიერ განხორციელებული “ვანდალური აქტები”, აგრეთვე “რელიგიური ექსტრემიზმის სხვა გამოვლენები...”⁴¹ უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, “შიღონ სათანადო ზომები იმ პირების წინააღმდეგ, ვინც თავიანთ თავს კანონზე მაღლა აყენებენ და რელიგიური მოტივით

³⁸ იგივე.

³⁹ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 226, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, 22 მარტი, 2001 წ.

⁴⁰ “საქართველო: რელიგიური ლიდერები შეხვდნენ შევარდნაძეს,” კესტონ ნიუსი, 11 ივლისი, 2001 წ. www.keston.org/017011GE-01.html

⁴¹ უზენაესი სასამართლოს პრეს-სამსახურის განცხადება, 15 მარტი, 2001 წ.

თავიანთ თავზე იღებენ სამართლის აღსრულებას. ასეთი ქმედებები არა მარტო ეწინააღმდეგება კანონს, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოებასა და სახელმწიფოს.” იმავე განცხადებაში უარყოფილია რაიმე კავშირი მისი 2001 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებასა და რელიგიური შეუმწყნარებლობის ფაქტების მატებას შორის, აღნიშნავს რა, რომ იეპოვას მოწმეების რეგისტრაციის გაუქმება არ ნიშნავდა მათი რწმენის თავისუფლების პრაქტიკის შეზღუდვას.⁴² თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის გადაწყვეტილების ეს ასპექტი ნაკლებად იქნა გაშუქებული სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი მედიის მიერ და მრავალადაა შემთხვევები (მათ შორის Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტირებული), როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას იყენებდნენ იეპოვას მოწმეთა კრებების ასაკრძალავად.

30 მარტს, იმავე დღეს, როდესაც მიღებულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილება საქართველის მართმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატის დადებასთან დაკავშირებით, პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობაა დაგმობილი. საქართველოს სახალხო დამცველმა – ნანა დევედარიანმა მრავალჯერ დაგმო ძალადობის ასეთი ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადებები მისასალმებელია, ისინი ძალიან დაგვიანებით გაკეთდა და არსებითი გავლენა არ მოუხდენია შექმნილ ვითარებაზე. ამ მემორანდუმის წერის მომენტისთვის არცერთი მოძალადე არ ყოფილა დასჯილი. თუმცა დაზარალებულები ხშირად ამოიცნობენ თავდამსხმელებს, პოლიციის რეაგირება ამ საქმეებზე (თუკი საერთოდ ხდება ასეთი რამ), ახსნა-განმარტებებითი ბარათის ჩამორთმევით შემოიფარგლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკალავიშვილის ორი თანამზრახველი იქნა გამართლებული 1999 წლის 17 ოქტომბრის დარბევასთან დაკავშირებულ საქმეში. საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით, 30 მარტს მკალავიშვილს ბრალდება წაუყენეს რელიგიური მსახურებისთვის ხელის შეშლისა⁴³ და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის⁴⁴ მოტივით. გენერალურმა პროკურატურამ თბილისის პროკურატურას გადაუგზავნა ათი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მოიცავს მკალავიშვილის მიერ ჩადენილ ჩვიდმეტ დანაშაულებრივ ეპიზოდს. გაუკვეველია, თუ რომელ დანაშაულებრივ ეპიზოდებზეა საუბარი; თბილისის ქალაქის პროკურატურამ თავისუფლების ინსტიტუტს უარი განუცხადა ინფორმაციის მიწოდებაზე, რის მიზეზადაც, გასაოცრად, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაასახელა. მკალავიშვილს, ამჟამად, აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს თბილისიდან გაუსვლელი სასამართლო პროცესამდე. იგი მაინც არ ემორჩილება ამ გადაწყვეტილებას და კვლავ მოწოდებს თავის მომხრეებს დაარბიონ რელიგიური კრებები და საჯარო მოწოდებებს აკეთებს ძალადობისკენ.⁴⁵ მკალავიშვილის მონაწილეობით ჩადენილი არცერთი ძალადობის ფაქტის სასამართლო განხილვის თარიღი არაა დადგენილი.

Human Rights Watch-მა რამდენჯერმე მოითხოვა ხელისუფლებისგან ინფორმაცია, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული ბოროტმოქმედთა გამოვლენისა და დასჯის

⁴² მიუხედავად იმისა, Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტირებულ რამდენიმე შემთხვევაში ადგილობრივი ორგანოები სასამართლოს გადაწყვეტილებას იყენებდნენ ასეთი შეზღუდვების დაწესებისას. იხ. ზემოთ.

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი.

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლი; კერძოდ მას ბრალად ედება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ჯგუფური საქმიანობის მოწყობასა და მონაწილეობაში.

⁴⁵ 2001 წლის ივნისში მკალავიშვილი, სავარაუდოდ, მონაწილეობდა გორთან ახლოს იეპოვას მოწმეთა დარბევის მცდელობაში.

მიზნით და რელიგიური შემწყნარებლობის კლიმატის შესაქმნელად.⁴⁶ დღემდე არავითარი პასუხი არ მიგვიღია.

⁴⁶ იხ.: წერილი შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძისა და გენერალურ პროკურორ გია მეფარიშვილისადმი, 7 ივნისი, 2001 წ.; წერილი პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძეს, 28 მარტი, 2001 წ.; და წერილი ელუარდ შევარდნაძეს, 6 სექტემბერი 2000 წ. ეს წერილები შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: www.hrw.org/